

„ზოგადი ქირურგია“

1. სპეციალობის დასახელება: „ზოგადი ქირურგია“.

2. სპეციალობის შინაარსი:

„ზოგადი ქირურგია“ არის კლინიკური მედიცინის დარგი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში განვითარებული ავადმყოფობებისა და დაზიანებების მკურნალობისთვის იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ოპერაციული ჩარევის მეთოდებს ან კონსერვატულ მკურნალობას.

3. ზოგადი ცოდნა:

ზოგადმა ქირურგმა უნდა იცოდეს კომპეტენციის ფარგლებში არსებული ქირურგიული დაავადებების ოპერაციული და კონსერვატული მკურნალობა. მათ შორის:

ა) ქირურგიული მკურნალობის ეტაპები და მათი მართვა:

ა.ა) პაციენტის მდგომარეობის და მოსალოდნელი რისკების შეფასება პერიოპერაციულად (პრე, ინტრა და პოსტოპერაციულ პერიოდებში), რის საფუძველზეც უნდა შეარჩიოს ოპერაციული ჩარევის ოპტიმალური მოცულობა და პერიოპერაციული მართვის ტაქტიკა;

ა.ბ) ქირურგიული მკურნალობის ყველა ეტაპზე დააწესოს მონიტორინგის შესაბამისი ფორმა, გამოიყენოს ყველა საშუალება მოსალოდნელი გართულების თავიდან ასაცილებლად, ხოლო გართულების აღმოცენების შემთხვევაში დროულად ამოიციოს იგი და მიიღოს გადაწყვეტილება მის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების გასატარებლად;

ა.გ) პაციენტის დიაგნოზის და მდგომარეობის შესაბამისად შეარჩიოს ქირურგიული ოპერაციის სახე. გამოიყენოს ოპტიმალური განაკვეთი, სამედიცინო დანიშნულების მოწყობილობები და საგნები, ნაკერების სახეები, ქსოვილების შესაერთებელი საშუალებები;

ა.დ) აუცილებლად გამოიკვლიოს ქირურგიული ჩარევის (ოპერაცია, მანიპულაცია, პროცედურა) დროს ამოკვეთილი ან ევაკუირებული ყველა მასალა და კვლევის შედეგები გაითვალისწინოს მკურნალობის ტაქტიკის დაგეგმვის დროს;

ა.ე) ქირურგიული ჩარევის წარმოების ტექნიკა;

ა.ვ) ქირურგიული საქმიანობისათვის საჭირო მოწყობილობები და სამედიცინო საგნები. შეეძლოს მათი გამართულობის შემოწმება და უსაფრთხო ექპლოატაცია.

ბ) სისხლდენა. სისხლის დაკარგვის სინდრომი:

ბ.ა) სისხლდენის კლინიკა;

ბ.ბ) სისხლდენის სახეები. ქირურგიული ტაქტიკა სხვადასხვა სახის სისხლდენის დროს;

ბ.გ) სისხლდენის დიაგნოსტიკა;

ბ.დ) სისხლდენის სიმძიმის განსაზღვრა;

ბ.ე) სისხლდენის შეჩერების მეთოდები;

ბ.ვ) სისხლდენის გამოსავლის მართვა და მკურნალობა;

ბ.ზ) ტრანსფუზიის ჩვენებები და უკუჩვენებები.

გ) ჰემოსტაზიოლოგიის ძირითადი საკითხები:

- გ.ა) ჰემოსტაზის სისტემის პერიოპერაციული კონტროლი;
- გ.ბ) ქირურგიული პაციენტის მკურნალობის დროს აღმოცენებული ჰემოსტაზის დარღვევების ამოცნობა;
- გ.გ) თრომბოემბოლიზმის პროფილაქტიკა.

დ) ჭრილობები:

- დ.ა) ჭრილობის ცნება, სახეები, კლასიფიკაცია. ჭრილობის კლინიკა, დიაგნოსტიკა;
- დ.ბ) ჭრილობის მდგომარეობის შეფასება და აღწერა;
- დ.გ) ჭრილობის შეხორცების პროცესი; მისი მიმდინარეობა, მოქმედი ფაქტორები, მათი შეფასება;
- დ.დ) ჭრილობის ადრეული და მოგვიანებითი გართულებები; შეხორცების სახეები;
- დ.ე) ჭრილობის შეხორცების პროცესის მოშლა (შეხორცების გახანგრძლივება, კოლაგენისსინთეზის დარღვევა, გაძლიერებული ექსუდაცია, კელოიდის წარმოქმნა), მათი მართვა;
- დ.ვ) ჭრილობის მონიტორინგი გართულების დროულად აღმოჩენისათვის;
- დ.ზ) ჭრილობის ქირურგიული დამუშავების სახეები;
- დ.თ) ოპერაციული და კონტამირებული ჭრილობების მკურნალობა. ცეცხლნასროლი ჭრილობების მკურნალობის თავისებურებები;
- დ.ი) ცნებები შეხვევისა და ნახვევების შესახებ. შეხვევის ჩვენება და უკუჩვენება. ნახვევის სახის შერჩევა;
- დ.კ) ჭრილობის დრენირება. დრენირების ჩვენება, დრენირების გართულებები;
- დ.ლ) ქრონიკული ჭრილობების, ნაწოლებისა და წყლულების მკურნალობა.

ე) თერმული დაზიანებები:

დამწვრობა, ელექტროტრავმა, მოყინვა, მათი დიაგნოსტიკა; ფართობისა და სიღრმის განსაზღვრა; სიმძიმის პროგნოზირება. გადაუდებელი დახმარება თერმული დაზიანების დროს.

ვ) ქირურგიული ინფექცია:

- ვ.ა) ქირურგიული ინფექციის კლინიკა და დიაგნოსტიკა. ინფექციის მარკერები;
 - ვ.ბ) მწვავე და ქრონიკული ქირურგიული ინფექცია;
 - ვ.გ) ქირურგიული ინფექციის ეტიოლოგია. ანაერობული ინფექცია;
 - ვ.დ) ქირურგიული ინფექციის დიაგნოსტიკა, სიმძიმის და ინფიცირების ხარისხის დადგენა. მაკროორგანიზმის რეაქტიულობა (იმუნოლოგიური და არასპეციფიკური);
 - ვ.ე) ქირურგიული ინფექციის განვითარების რისკფაქტორები.;
 - ვ.ვ) ლოკალური ქირურგიული ინფექციის სახეები. რბილი ქსოვილების ჩირქოვანი დაავადებები;
 - ვ.ზ) გენერალიზებული ქირურგიული ინფექცია. სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი (საპს); დიაგნოსტიკური მარკერები და კრიტერიუმები.
 - ვ.თ) ქირურგიული ინფექციის მკურნალობის ზოგადი და ადგილობრივი მეთოდები.
- ზ) ნოზოკომიური ინფექციის განვითარების რისკფაქტორები და მათი პროფილაქტიკა** - უკონტაქტო შეხვევის non-touch technique მეთოდიკა;
- თ) ქირურგიული პაციენტის პერიოპერაციული რაციონალური კვება;
 - ი) ამ დანართის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დაავადებებისა და მდგომარეობების მართვა.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ამ დოკუმენტში ტერმინი „მართვა“ ნიშნავს: დაავადების დიაგნოსტიკას, ოპერაციულ და/ან კონსერვატულ მკურნალობას, სათანადო დარგის სპეციალისტებთან ერთად მულტიდისციპლინური მკურნალობის საჭიროების განსაზღვრას.

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
A00-09	ნაწლავური ინფექციები (ამეზიაზი, ნაწლავის ამეზომა, ღვიძლის ამეზური აბსცესი)	დიაგნოსტიკა, ოპერაციული მკურნალობა, რეფერალი
A18.3	ნაწლავების, პერიტონეუმის და მეზენტერიული ჯირკვლების ტუბერკულოზი.	დიაგნოსტიკა, ოპერაციული მკურნალობა, რეფერალი
A 46	წითელი ქარი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
A 48.0	ანაერობული განგრენა	მართვა
B 67	ექინოკოკოზი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
B 77	ასკარიდოზი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
B 81	ნაწლავთა სხვა ჰელმინთოზები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
C15-26	საჭმლის მომნელებელი სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეები	დიაგნოსტიკა, რეფერალი
C30-39	სასუნთქი სისტემის და გულმკერდის ღრუს ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები;	დიაგნოსტიკა, რეფერალი
C43-44	კანის ავთვისებიანი სიმსივნეები;	დიაგნოსტიკა, რეფერალი
C45-49	მეზოთელიური და რბილი ქსოვილის სიმსივნეები;	დიაგნოსტიკა, რეფერალი
C50	სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნე;	დიაგნოსტიკა, რეფერალი

C73-75	ფარისებრი და სხვა ენდოკრინული ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნეები;	დიაგნოსტიკა, რეფერალი
D 12 – D 13	კოლინჯის, სწორი ნაწლავის, ანუსის და ანალური არხის კეთილთვისებიანი სიმსივნე; საჭმლის მომნელებელი სხვა და დაუზუსტებელი ორგანოების ნაწილების კეთილთვისებიანი სიმსივნე;	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
D 17 – D 24	ცხიმოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე; სარძევე ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე;	მართვა
D 34	ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე;	მართვა
D35.0	თირკმელზედა ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
D 35.1	ფარისებრ ახლო ჯირკვლის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
D35.7	სხვა დაუზუსტებული ენდოკრინული ჯირკვლების კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
D 36.0	ლიმფური კვანძების კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
D 36.7	სხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის კეთილთვისებიანი სიმსივნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
D 73	ელენტის ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 01.1	იოდის დეფიციტთან დაკავშირებული მრავალკვანძოვანი (ენდემური) ჩიყვი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 01.2	იოდის დეფიციტთან დაკავშირებული (ენდემური) ჩიყვი დაუზუსტებელი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 04	არატოქსიური ჩიყვის სხვა ფორმები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 05	თირეოტოქსიკოზი (ჰიპერთირეოზი)	მართვა, საჭიროების შემთხვევაში

		რეფერალი
E 10.5	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, პერიფერიული ცირკულაციის მოშლით	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 11.5	ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტი, პერიფერიული ცირკულაციის მოშლით	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 16.4	გასტრინის სეკრეციის დარღვევა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 24	იცენკო-კუმინგის სინდრომი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 25	ადრენოგენიტალური დარღვევები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 26	ჰიპერალდოსტერონიზმი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 27	თირკმელზედა ჯირკვლის სხვა დარღვევები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 65	ადგილობრივი სიმსუქნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 66	ზოგადი სიმსუქნე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
E 84.1	ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
I 85	საყლაპავი მილის ვენების ვარიკოზული გაგანიერება	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
I 86.4	კუჭის ვენის ვარიკოზი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 20 – K 31	საყლაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ავადმყოფობები	მართვა,

		საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 35 – K 38	ჭია ნაწლავის ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 40 – K 46	თიაქარი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 50	კრონის ავადმყოფობა (რეგიონული ენტერიტი)	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 51	წყლულოვანი კოლიტი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 52.0	გასტროენტერიტი და კოლიტი გამოწვეული რადიაციით	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 55	ნაწლავის სისხლძარღვოვანი ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 56	პარალიზური გაუვალობა და ნაწლავის ობსტრუქცია თიაქრის გარეშე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 57	ნაწლავის დივერტიკულური ავადმყოფობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 59.3	მეგაკოლონი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 61	ყითას და რექტუმის მიდამოს აბსცესი	მართვა
K 62.5	სისხლდენა ყითადან და სწორი ნაწლავიდან	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 63	ნაწლავების სხვა ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 64 – K 67	პერიტონეუმის ავადმყოფობები	მართვა,

		საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 80 – K 87	ნაღვლის ბუმტის, სანაღვლე გზების და პანკრეასის ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
K 90 – K 93	საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
L 02	კანის აბსცესი, ფურუნკული და კარბუნკული;	მართვა
L 03	ფლეგმონა	მართვა
L 04	მწვავე ლიმფადენიტი	მართვა
L 05	პილონიდური კისტა	მართვა
L 55 – L 59	კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები დაკავშირებული რადიაციასთან	მართვა
L 60.0	ჩაზრდილი ფრჩხილი	მართვა
L 72	კანისა და კანქვეშა ქსოვილის ფოლიკულური კისტები	მართვა
L 73	თმის ფოლიკულების სხვა დაზიანებები	მართვა
L 89	ნაწოლი	მართვა
L 91	კანის ჰიპერტროფიული დაზიანებები	მართვა
L 98.4	კანის ქრონიკული წყლული, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა
M 20.1	ტერფის დიდი თითის ვალგუსური დეფორმაცია (Hallux valgus), შექმნილი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
M 60.2	უცხო სხეულის მოხვედრით გამოწვეული რბილი ქსოვილის გრანულომა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
M 62	კუნთების სხვა დაზიანებები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
M 65.0	მყესის ბუდის აბსცესი	მართვა
N 60 – N 64	სარძევე ჯირკვლის ავადმყოფობები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
O 91	სარძევე ჯირკვლის ინფექციები, დაკავშირებული შვილოსნობასთან	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
R 02	განგრენა, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი

R 04	სისხლდენა სასუნთქი გზებიდან	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
R10 – R 19	სიმპტომები და ნიშნები, რომლებიც მიეკუთვნება საჭმლის მომნელებელ სისტემას და მუცლის ღრუს	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
R 58	ჰემორაგია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
R 59	ლიმფური კვანძის გადიდება	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 00.0	სკალპის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 00.3	ცხვირის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 00.4	ყურის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 00.5	ტუჩისა და პირის ღრუს ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 00.7	თავის მრავლობითი ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 00.8	თავის სხვა ნაწილების ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S10.7	კისრის მრავლობითი ზედაპირული ტრავმები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S10.8	კისრის სხვა ნაწილების ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S11.1	ღია ჭრილობა, რომელიც მოიცავს ფარისებრ ჯირკვალს	მართვა, საჭიროების

		შემთხვევაში რეფერალი
11.2	ღია ჭრილობა, რომელიც ეხება ხახასა და საყლაპავის კისრის ნაწილს	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S11.8	კისრის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 16	კუნთის და მყესის ტრავმა კისრის დონეზე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 20	გულმკერდის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 21	გულმკერდის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 30	მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის და მენჯის ზედაპირული ტრავმა;	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 31	მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის და მენჯის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 35	სისხლძარღვების ტრავმა მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის და მენჯის დონეზე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 36	მუცლის ღრუს ორგანოების ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 38	მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის და მენჯის გაჭყლეტა და რომელიმე ნაწილის ტრავმული ამპუტაცია	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 39	მუცლის, ზურგის ქვედა ნაწილის და მენჯის სხვა დაუზუსტებელი ტრავმები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 40	მხრის სარტყლისა და მხრის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი

S 41	მხრის სარტყლის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 50	წინამხრის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 51	წინამხრის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 56	კუნთებისა და მყესების ტრავმა წინამხრის დონეზე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 57	წინამხრის გაჭყლეტა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 58	წინამხრის ტრავმული ამპუტაცია	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 60	მაჯის და მტევნის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 70	მენჯ- ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 71	მენჯ- ბარძაყის სახსრისა და ბარძაყის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 80	წვივის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 81	წვივის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 88	წვივის ტრავმული ამპუტაცია	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 90	კოჭ-წვივის სახსრის და ტერფის ზედაპირული ტრავმა	მართვა, საჭიროების

		შემთხვევაში რეფერალი
S 91	კოჭ-წვივის სახსრის და ტერფის ღია ჭრილობა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 96	კუნთებისა და მყესების ტრავმა კოჭ-წვივის სახსრის და ტერფის დონეზე	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 97	კოჭ-წვივის სახსრის და ტერფის გაჭყლეტა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
S 98	კოჭ-წვივის სახსრის და ტერფის ტრავმული ამპუტაცია	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T01	ღია ჭრილობები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T05	ტრავმული ამპუტაციები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T06	სხვა ტრავმები, რომლებიც მოიცავს სხეულის რამდენიმე მიდამოს და არ არის შეტანილი სხვა რუბრიკებში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T17	უცხო სხეული სასუნთქ გზებში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T18	უცხო სხეული საჭმლის მომნელებელ სისტემაში	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T20-32	თერმული და ქიმიური დამწვრობა;	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T33-35	მოყინვა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T 80	ინფუზიის, ტრანსფუზიის და სამკურნალო ინექციის შემდგომი გართულებები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი

T 85.5	კუჭ-ნაწლავის საპროთეზო საშუალებების, იმპლანტანტებისა და ტრანსპლანტანტების მექანიკური გართულება	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T 85.6	სხვა დაზუსტებული შიდა საპროთეზო საშუალებების, იმპლანტანტებისა და ტრანსპლანტანტების მექანიკური გართულება	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T87.3	ამპუტაციური ტაკვის ნევრინომა	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T87.4	ამპუტაციური ტაკვის ინფექცია	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T87.5	ამპუტაციური ტაკვის ნეკროზი	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
T87.6	ამპუტაციური ტაკვის სხვა და დაზუსტებული გართულებები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი
Q 43	ნაწლავთა სხვა თანდაყოლილი ანომალიები	მართვა, საჭიროების შემთხვევაში რეფერალი

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ზოგადი ქირურგია“ შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) კლინიკური, ბიოქიმიური, მოლეკულური, იმუნოლოგიური და სეროლოგიური, მიკრობიოლოგიური კვლევები;

ა.ბ) რადიოლოგიური: რენტგენოლოგიური, კტ, მრტ, პეტ/კტ, ულტრაბგერითი სკანირება (მ/შ ექოკონტრასტული); ფერადი დოპლერული კარტირება;

ა.გ) ენდოსკოპიური კვლევებისა და მანიპულაციების შედეგები;

ა.დ) მორფოლოგიური (ციტოლოგიური, ჰისტოლოგიური, მოლეკულური) კვლევები;

ა.ე) ქსოვილოვანი სითხეების/გამონაყოფების, ბიოლოგიური მასალების ლაბორატორიული კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია;

ა.ვ) ელექტროფიზიოლოგიური და ფუნქციურ-დიაგნოსტიკური კვლევები;

ბ) ექიმს, რომელიც ფლობს სახელმწიფო სერტიფიკატს სპეციალობაში „ზოგადი ქირურგია“ შეუძლია შემდეგი ჩარევების/კვლევების შესრულება - ტრადიციული, დამხმარე მოწყობილობების, საკერი აპარატების, ენდოსკოპიური და

რადიოლოგიური (შესაბამისი უფლების მქონე სპეციალისტის მონაწილეობით) ტექნიკის გამოყენებით, მათ შორის კანგავლით და ორგანოს გავლით:

ბ.ა) ცენტრალური და პერიფერიული სისხლძარღვების ლიგირება, გაკერვა, რეზექცია, პუნქცია, სექცია, კათეტერიზაცია. სისხლძარღვებს შორის ანასტომოზების ფორმირება და ლიკვიდაცია;

ბ.ბ) საინფუზიო მოწყობილობების გამოყენება;

ბ.გ) ცენტრალური ვენური წნევის გაზომვა;

ბ.დ) ინფუზიისა და ტრანსფუზიის სხვადასხვა სახეების ჩატარება;

ბ.ე) ნაზოგასტრული და ნაზოენტერული ზონდირება;

ბ.ვ) თორაკოცენტეზი და გულმკერდის ღრუს დრენირება;

ბ.ზ) ლაპაროსკოპიის და ლაპაროცენტეზის ჩატარება;

ბ.თ) გადაუდებელი პერიკარდიოცენტეზის ჩატარება;

ბ.ი) შარდის ბუშტის კათეტერიზაციის ჩატარება;

ბ.კ) ტრაქეოსტომიის, კრიკოთირეოიდოტომიის ჩატარება;

ბ.ლ) სისხლდენის შეჩერება დროებითი და საბოლოო მეთოდებით;

ბ.მ) ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავების ჩატარება. კუნთის, მყესის, ნერვის, სისხლძარღვის გაკერვა;

ბ.ნ) ჭრილობის დრენირება. სხვადასხვა სახის დრენაჟების ჩაყენება და ამოღება;

ბ.ო) ჭრილობის გართულებების ლიკვიდაცია;

ბ.პ) ყველა სახის კლასიკური და დამიზნებითი (რადიოლოგიური კონტროლით) პუნქციის და ბიოფსიის წარმოება;

ბ.ჟ) ღრუ ორგანოების, ცისტების, ფსევდოცისტების და სხვადასხვა ღრუების სტომების ფორმირება და ლიკვიდაცია;

ბ.რ) სხვადასხვა სახის ნახვევების დადება და მოხსნა. იმობილიზაციის ჩატარება;

ბ.ს) ორგანოების გაკერვა, მათი ნაწილობრივი და/ან სრული ამოკვეთა;

ბ.ტ) ორგანოებში, და/ან ორგანოთა შორის არსებული (ხელოვნური, ბუნებრივი, თადაყოლილი) შერთულების, ანომალიების, დეფექტების რეკონსტრუქცია, პლასტიკა, ლიკვიდაცია;

ბ.უ) ქირურგიული ოპერაციების, პროცედურების გართულებების ლიკვიდაცია;

ბ.ფ) უცხო სხეულების ამოღება სხვადასხვა ორგანოებიდან, ქსოვილებიდან და ღრუებიდან;

ბ.ქ) ადგილობრივი გაუტკივარების (აპლიკაციური, ინფილტრაციული და გამტარებლობითი) ჩატარება;

ბ.ღ) ინფიცრებული კერების (აბსცესის, ფლეგმონის და ა.შ.) გახსნა, სანაცია და დრენირება;

ბ.ყ) კიდურის ამპუტაცია (ამოსახსვრა) სხვადასხვა დონეზე;

ბ.შ) თიაქარკვეთა და თიაქარპლასტიკა;

ბ.ჩ) ოპერაციები საყლაპავზე, კუჭზე, წვრილ და მსხვილ ნაწლავებზე;

ბ.ც) საყლაპავის, კუჭისა და ნაწლავების დივერტიკულექტომია;

ბ.ძ) საყლაპავს, კუჭს, პანკრეასსა და ნაწლავებს შორის შერთულების დადება;

ბ.წ) წვრილი და მსხვილ ნაწლავოვანი გაუვალობების ლიკვიდაცია;

ბ.ჭ) ოპერაციები სანადვლე სისტემაზე და ღვიძლზე;

ბ.ხ) მუცლის ღრუს სანაცია და დრენირება;

ბ.ჯ) მუცლის ღრუში სისხლდენის შეჩერება, მათ შორის გინეკოლოგიური გენეზის (საკვერცხის გახეთქილი კისტა, საშვილოსნოს გარეთა ორსულობა);

ბ.ბ) ოპერაციები დიაფრაგმაზე;

ბ.ბ.¹) ოპერაციები ელენთაზე;

ბ.ბ.²) ოპერაციები სარძევე ჯირკვალზე;

ბ.ბ.³) ოპერაციები ფარისებრ ჯირკვალზე;

ბ.ბ.⁴) ოპერაციები პარათირეოიდულ ჯირკვალზე;

ბ.ბ.⁵) ოპერაციები თირკმელზედა ჯირკვალზე;

ბ.ბ.⁶) ოპერაციები პანკრეასზე;

ბ.ბ.⁷) ოპერაციები პერიტონეუმზე და რეტროპერიტონეუმზე;

ბ.ბ.⁸) ქსოვილოვანი სითხეების/გამონაყოფების, ბიოლოგიური მასალების აღება ლაბორატორიული კვლევისათვის;

ბ.ბ.⁹) ბარიატრიული ოპერაციები და მასთან დაკავშირებული გართულებების კორექცია;

ბ.ბ.¹⁰) კანისა და კანქვეშა ქსოვილის ინტრაოპერაციული და პოსტპროცედურული გართულებები.